თენგიზ ცეცხლაშვილი

არდავიწყება გმირებს!

მეორე მსოფლიო ომის გმირი მფრინავი
ისრაფილ ჯინჭარაძე

1916. 23. 04. – 1943. 15. 10 წწ.

მილიონობით საბჭოთა ადამიანებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე 450 მახინჯაურელი ახალგაზრდა იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. ისინი ვაჟკაცურად ერკინებოდნენ მტერს, დაიმსახურეს სამშობლოს ჯილდოები. მათ შორის ი. ჯინჭარაძემ მიიღო წარჩინების უმაღლესი ხარისხი - საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მამაცი მფრინავის სახელი სამართლიანად უკვდავყო სამშობლომ.

მამულისათვის ვინც გახარჯულა,
ის ღმერთისაგან დალოცვილია,
სამშობლოსა და ერის წინაშე,
უკვდავია და ვალმოხდილია!

თენგიზ ცეცხლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

მორიგ წიგნზე **,,მარად დაუვიწყარი თამარ სულხანიშვილი“** მუშაობის პროცესში, რომელსაც **ვუძღვნი თამარ სულხანიშვილის ცხოვრების მეგზურს, მის დიდ სიყვარულს და სცენის უბადლო კორიფეს, დიდ იუსუფ კობალაძის ნათელ ხსოვნას,** ვითარებიდან გამომდინარე მომიხდა წერილით მიმემართა ქალაქ ბათუმის მერისთვის, ბატონ ლაშა კომახიძისთვის. აი, ისიც:

წიგნი **,,მარად დაუვიწყარი თამარ სულხანიშვილი“** მოგვითხრობს საქართველოს დამსახურებულ მსახიობზე, ვისთანაც ერთად პიონერის როლს ვთამაშობდი პიესაში **,,სიმღერა შევარდენზე“**. პიესა ეძღვნებოდა ჩვენს თანამემამულეს, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის **ისრაფილ ჯინჭარაძის** ნათელ ხსოვნას. ისრაფილ ჯინჭარაძე გმირულად დაიღუპა ერთ-ერთი მორიგი საბრძოლო დავალების შესრულების დროს. უნებლიეთ მივაქციე ყურადღება ყოფილი პიონერთა პარკის შესასვლელში, წლების განმავლობაში ამაყად მდგარი ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტს, რომლის ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა სამწუხაროდ ჩამოგლეჯილი იყო და ტურისტებისა და სტუმრების კითხვებზე, თუ ვინ არის ბიუსტზე ასახული? პასუხის გაცემა, ჩვენდა სამარცხვინოდ იქვე წვრილმანებით მოვაჭრეებს უხდებოდათ და ისიც დიდი შეცდომებით, განსაკუთრებით, თუ მათ ამის თქმა არამშობლიურ ენაზე უხდებოდათ.

ახალგაზრდა გმირი მფრინავი ფაშიზმთან ბრძოლაში გმირულად დაეცა, სამშობლოს შესწირა თავი, რომლებიც ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ ყოფილ საბჭოეთსა და მთლიანად ევროპის ქვეყნებს.

ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ:

,,არ ვიცით სხვა როგორა ჰფიქრობს, ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც არ ახსოვს ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? - იგი მთხრობელია მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას, და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის."

ბატონო მერო, გთხოვთ გულთან ახლოს მიიტანოთ ეს საჭირბოროტო საკითხი.

თენგიზ ცეცხლაშვილი
08.04. 2019 წელი

ელგუჯა ფხაკაძის ფოტო

ბიუსტი დღეს ასე რომ გამოიყურება. ჩემი ბათუმელი მეგობრების დამსახურებაა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ.

ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტისა და მემორიალური დაფის აღდგენაში ბათუმელი მხატვარი აკაკი ძნელაძე ამომიდგა მხარში, ხოლო ა (ა)იპ - ,,საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო"-ს უფროსმა სულხან ევგენიძემ და ამავე სამსახურის თანამშრომელმა ოთარ გორგილაძემ, ქალაქის მერის ლაშა კომახიძის დავალებით ეს საქმე ბოლომდე მიიყვანეს და სათანადო წარწერაც გაუკეთდა: **,,მეორე მსოფლიო ომის გმირი მფრინავი ისრაფილ ჯინჭარაძე (1916-1943),** რომელიც განთავსდა 2019 წლის 10 ივლისს.

შესანიშნავი წიგნი დაწერა მწერალმა ბატონმა, აწ გარდაცვლილმა **სერგო ჯაყელმა**, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების მე-40 წლისთავზე **,,სამშობლოს ზეცა ჩემი სახლია"** (1985წ.).

მიზანშეწონილად მივიჩვნევ ამ წიგნის ფურცლებიდან რამდენიმე ეპიზოდით სინათლე მოვფინო, ისრაფილ ჯინჭარაძის ხანმოკლე, მაგრამ ვაჟკაცურად განვლილი ცხოვრების გზას, რითაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 75-ე წლისთავს ვულოცავ იმ ვეტერანებს, რომლებიც დღემდე ხარობენ კაცობრიობის უდიდესი მტერის დამარცხების გამო.

წიგნის ავტორი ეფუძნება მოპოვებულ უნიკალურ პირველ წყაროებს. იგი ი. ჯინჭარაძის უშუალო მეგობრებისა და თანაპოლკელების გადმოცემით აგვიღწერს და წარმოაჩენს სახელოვანი ქართველი გმირის საბრძოლო ცხოვრების გზას და გმირულად დაღუპვის ეპიზოდს.

,,რამდენიმე სეზონის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში წარმატებით იდგმებოდა დრამატურგ ამირან შერვაშიძის პიესა **,,სიმღერა შევარდენზე“.** სპექტაკლი დადგა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის რეჟისორმა **შალვა ინასარიძემ. ი. ჯინჭარაძის როლს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ხასან მეგრელიძე** ასრულებდა.

აი როგორ იგონებდა იმ დღეებს ბატონი ხასანი: ,,დავიწყე როლზე მუშაობა. სპექტაკლი ისრაფილის ყმაწვილკაცობის წლებიდან იწყებოდა. მინდოდა ღრმად ჩავწვდომოდი ახალგაზრდა კაცის ხასიათს. გადავწყვიტე გმირის დედასთან მივსულიყავი, თანაც მერიდებოდა, გადავწყვიტე არ მეთქვა სპექტაკლის მზადებაზე არაფერი, ბიოგრაფიისთვის გვჭირდება და მისი ბავშვობის ამბავი გვაინტერესებს-მეთქი, ასე ვუთხარი. ქალბატონმა ფატიმ ბევრი საყურადღებო დეტალი გაიხსენა, თან თვალები ეცრემლებოდა, ისრაფილის საყვარელ ადგილზე გვატარებდა. მისი სიცილიც კი გაიხსენა. აი ასე იცოდა გაცინება ჩემმა ბიჭმაო,“ იტყოდა.

პრემიერაზე გმირის დედა მოვიწვიეთ რა დამავიწყებს იმ საღამოს, დარბაზი გუგუნებდა. სპექტაკლის ბოლოს ისრაფილის დედა სცენაზე ამოვიდა და გადამეხვია. ჩემი შვილობილი იქნები აწი, მისი დღე შენ მოგემატოსო, მეფერებოდა. მეც ხშირად ვაკითხავდი სახლში და როცა ,,სიმღერა შევარდენზე“ გადიოდა, თან მომყავდა“...

ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ თავს, რომ ყოველივე ამის მოწმე გახლავართ მე და ჩემი ძმა თამაზი...

ისრაფილ ჯინჭარაძის სამხედრო ბილეთიდან:

1 - გვარი, სახელი, მამის სახელი - **ჯინჭარაძე ისრაფილ ქემალის ძე.**

2 - წოდება - **უმცროსი ლეიტენანტი.**

3 - თანამდებობა, სამხედრო ნაწილი - **1 მოიერიშე ავიაკორპუსის 226-ე ავიადივიზიის 673-ე ავიაპოლკის მფრინავი.**

წარდგენილია საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.

4 - დაბადების წელი - **1916. 23 აპრილი.**

5 - ეროვნება - **ქართველი.**

6 - პარტიულობა - **სკკპ (ბ) წევრი 1943 წლის 15 აპრილიდან.**

7 - მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, შემდგომ საბრძოლო მოქმედებაში სსრ კავშირის დაცვისათვის და სამამულო ომში (სად, როდის) - **სამამულო ომში 1943 წლის იანვრიდან დღემდე, კალინინის, ჩრდილოეთ ვორონეჟის და სტეპის ფრონტებზე.**

8 - აქვს თუ არა ჭრილობები, კონტუზია სამამულო ომში - **არ აქვს.**

9 - რომელ დროიდან არის წითელ არმიაში - **1939 წლიდან.**

10 - რომელი სამხედრო კომისარიატის მიერ არის წარგზავნილი - **ბალაშოვის სამხედრო კომისარიატის მიერ.**

11 - რით არის წინათ დაჯილდოვებული: **წითელი ვარსკლავის ორდენი (26. V. 1943 წ.). სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი (30. VIII. 43 წ.).**

12. ჯილდოზე წარდგენილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მისი ოჯახის მისამართი: **ქ. ბათუმი, სადგური მახინჯაური.**

სულ სამამულო ომის ფრონტზე ი. ჯინჭარაძემ "ილ-2" თვითმფრინავით მოახდინა 92 საბრძოლო გაფრენა. პირადად მოსპო და დააზიანა მტრის 82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 6 თვითმფრინავი აეროდრომზე და ერთი საჰაერო ბრძოლაში, ჩაახშო საზენიტო არტილერიის 10, საცეცხლე და საველე არტილერიის 5 წერტი, მოკლა, დაჭრა და გაფანტა მტრის 880-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბრძოლო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის ამხ. ი. ჯინაჭარაძეს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა მადლობა გამოუცხადა 4-ჯერ, ფრონტის სარდალმა 2-ჯერ, არმიის სარდალმა 5-ჯერ, კორპუსისა და დივიზიის მეთაურებმა 7-7-ჯერ. 92 წარმატებითი საბრძოლო გაფრენისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ამხ. ისრაფილ ქემალის ძე ჯინჭარაძე ღირსია მთავრობის უმაღლესი ჯილდოს "საბჭოთა კავშირის გმირის წოდებისა" – ვკითხულობთ დაჯილდოების ფურცელში.

დაჯილდოების ფურცელი 1943 წლის 10 ოქტომბერს ხელს აწერს 673 მოეიერიშე ავიაპოლკის მეთაური, მაიორი ალექსანდრე პორფირის ძე მატიკოვი. სათანადო ინსტანციების გავლის შედეგ დაჯილდოების ფურცელს ამოწმებს სტეპის ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი, შემდგომში ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე სტეფანეს ძე კონევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდენილი ოცნება

ახალგაზრდა ქალი ოდნავ დახრილიყო საწოლისკენ. შვიდიოდე წლის ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა ჭკვიანი თვალებით შესცქეროდა და ხარბად იჭერდა მის თითოეულ სიტყვას. დედა ამჯერად ამირანის ვაჟკაცურ საქმეებზე უკითხავდა. "ამირანმა დევი დასცა, დააწყებინა ღრიალი". ბიჭის თვალებში ნაპერწკალმა გაიელვა და ლოგინიდან წამოიწია, ქალი წუთით გაირინდა. ფიქრობდა მოეთხრო თუ არა შვილისათვის ამირანის დევებთან ბრძოლის ის ეპიზოდი, როდესაც ციხე-კოშკში სისხლის გუბე ამირანს ყელამდე შემოაწვება. დედა სიციცხლეს, სიცოცხლის მარადიულობას ემსახურება, მას სძაგს ომები, სისხლისღვრა, მაგრამ ხომ არიან ბნელეთის ძალები, ხომ უნდა ალაგმოს ისინი ვინმემ?

– მერე, დედიკო მერე! – ყელზე წაეპოტინა ისრაფილი დედას. ფატი ფიქრებიდან გამოერკვა.

– დაამარცხა შვილო, ამირანმა ყველა დევი და ავი სული, მერე ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი და ხალხს მიუტანა. მას ძმები ბადრი და უსუპი ეხმარებოდნენ. – დაასრულა დედამ.

ისრაფილის ლამაზნაკვთებიან სახეს ნაღველმა დაჰკრა.

– მერე დედი, მე რომ ძმები არ მყავს, როგორ მოვერევი ამხელა დევებს?

– რატომ შვილო, შენც ხომ გყავს მეგობრები: შუქრი, მამუდი, ოსმანი, უჩა, მეგობარი ძმასავით საყვარელი და საიმედოა. ახლა დაიძინე და ხვალ ახალ ზღაპარს მოგიყვები ძმობის სიკეთეზე.

ისრაფილს ჩაეძინა, დედა ფიქრმა წაიღო. ადრე დაქვრივდა ფატი. ეს ერთადერთი შვილი შერჩა სიხარულად და იმედად. ქვეყანაზე ახალი ცხოვრება იწყებოდა, ჯერ კიდევ ბევრი ვერ გარკვეულიყო საბჭოური ყოფის უპირატსეობაში. ფატისაც ეშინოდა გულში, რა ბედი ეწევა ჩემს ბიჭსო. ამაზე ფიქრობდა მუდამ.

შვიდწლედი დაამთავრა თუ არა, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. რკინიგზელობა გადაწყვიტა და ბათუმის რკინიგზის ტექნიკუმში შევიდა. აქ გაიყო ისრაფილის და უჩას გზები. უჩა თბილისში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, ისრაფილი ბათუმში დარჩა.

სწავლისაგან თავისუფალ დროს გადაიკიდებდა მხარზე ბიძის ნაჩუქარ ფოტოაპარატს და ველოსიპედზე ამხედრებული ესტუმრებოდა ნათესავებს. განსაკუთრებით თავის ბიძებთან ყოფნა უყვარდა. შუქრი და მამუდი ბიძებად ერგებოდა, მაგრამ ისინი თითქმის ტოლები იყვნენ, საერთო ენას იოლად პოულობდნენ.

ერთ დღეს, 1934 წლის 21 ივნისს, ტექნიკუმიდან მომავალი თავის უფროს მეგობარს შეხვდა. მან გაზეთი "კომუნისტი" გაუწოდა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. ისრაფილმა თარიღს დახედა – "20 ივნისი, 1934 წელი". გუმანით იგრძნო, რაღაც მნიშვნელოვანი ცნობა იქნებოდა დაბეჭდილი. გაზეთი იუწყებოდა, რომ საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი ზეიმით ხვდებოდა ჩელუსკინელთა ეპოპეის გმირებს.

ისარფილმა მაგრად ჩაბღუჯა გაზეთი და გაბრწყინებული თვალებით შეხედა მეგობარს. წარმოიდგინა მოსკოვი, წითელი მოედანი, მოზეიმე ხალხი და რაც მთავარია, ჩელუსკინელთა ეპოპეის გმირები. ყველა მფრინავი მას თავის სულიერ ძმად და მეგობრად მიაჩნდა, ამიტომაც უხაროდა მრფინავების გამარჯვება. ზეცა, თვითმფრინავი, გაფრენა, მოჯადოებულივით იმეორებდა გულში ამ სიტყვებს.

ზეცა, თვითმფრინავი, ფრენა, საბოლოოდ ზეცისკენ გაუწია გულმა ისრაფილს და გადაწყვიტა ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა საავიაციო სასწავლებელში განეგრძო. სწორედ ამ წლებში ლენინურმა კომკავშირმა სამხედრო საჰაერო ძალებზე აიღო შეფობა, ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა საბრძოლო ლოზუნგებად აიტაცეს მოწოდება: "თვითმფრინავის ფრთებს – კომკავშირული სისწრაფე". "კომკავშირლები – თვითმფრინავებზე". ისრაფილი ბათუმის აეროკლუბში ჩაეწერა, სადაც ტექნიკუმისაგან მოუწყვეტლივ ეუფლებოდა საფრენოსნო საქმეს. მამის ბიძაშვილ ნური ჯინჭარაძესთან ერთად.

აი, დადგა პირველად კოშკიდან გადმოხტომის დრო. ისრაფილი შინაგან დაძაბულობას არ ამჟღავნებდა, მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა სახტომი ბაქნის მონიშნულ ხაზს "არ შედრკა ერთი წამითაც!" – გაახსენდა უფროსი მეგობრის სიტყვები. მართლაც მხნედ გადააბიჯა მინიშნებულ ხაზს, მშვიდად გადახედა ქვემოთ სივრცეს, გააკეთა წესდებით გათვალისწინებული მოძრაობა და რბილად დაეშვა მიწაზე! როგორ უბრალოდ, ადვილად შეიძლება თურმე დიდი საქმის გაკეთება, თავისთავს თუ მოერევი, – გაიფიქრა და შვებით ამოისუნთქა. ამხანაგები შემოეხვივნენ გარს, ულოცავდნენ პირველ გამარჯვებას.

ბათუმის აეროკლუბმა დიდი როლი შეასრულა საფრენოსნო კადრების მომზადებაში.

ისრაფილს სამუდამოდ დაამახსოვრდება ის წუთი, როცა თვითმფრინავის მძლავრმა ფრთებმა მიწას მოსწყვიტა და ჰაერში აიტაცა. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, უკვე მახინჯაურის თავზე იყო. ზემოდან გადმოხედა ქალაქს, თავის სოფელს და გული სიამაყით აღევსო. თავისი მაგნოლიაც დაინახა.

საავიაციო კლუბში სწავლის დამთავრების შემდეგ, ისრაფილ ჯინჭარაძე როგორც სწავლის ფრიადოსანი, კომკავშირული საგზურით ბალაშოვის საავიაციოს სასწავლებელში გაგზავნეს, სადაც სწავლა დაიწყო 1937 წლის 15 აგვისტოს. გამგზავრების საღამოს თავი მოიყარეს მეგობრებმა, ბიძებმა, დეიდებმა, ბაბუა მემედი მოკლედ არიგებდა შვილიშვილს: "ადვილი ცხოვრება ცუდი ცხოვრებაა შვილო, ადამიანმა შრომითა და ბრძოლით უნდა დაიმსახუროს ჰაერის სუნთქვის უფლება."

დედა უსიტყვოდ, ნაზად ეალერსებოდა შვილს, ბოლოს გულში ჩაიკრა პირმშო. ისრაფილმა თავი გაითავისუფლა და დედას ცრემლებით ავსებული თვალები დაუკოცნა.

მიხეილ ტოკარენკოს დღიურიდან

საავიაციო სასწავლებლის ნათელი დარბაზი, ამდენი თვითმფრინავის სურათი ჯერ არსად გვენახა. ხარბად ვათვალიერებდით კედელზე გაკრულ მოდელებს, სქემებს.

მოვიდა სამხედრო ფორმიანი ახალგაზრდა კაცი და მწყობრში დააყენა მომავალი მფრინავები. დაიწყო გვარების ამოკითხვა. მეთაურმა დამარცვლით წაიკითხა "ჯინ-ჭა-რა-ძე". ყველამ შეხედა ახოვან, შავთვალწარბა, ხუჭუჭთმიან ვაჟკაცს. მის გვერდით მე ვიდექი, გაიმეორე, ძმობილო, შენი გვარი, – წავჩურჩულე. "ჯინ-ჭა-რა-ძე" – მეთაურის წაბაძვით დამარცვლა ისრაფილმა. მე ორ-სამჯერ გავიმეორე თანაკურსელის გვარი. ვიყოთ მეგობრები, – ვუთხარი და ხელი ხელზე მოვუჭირე.

– სიამოვნებით, – მიპასუხა მან. მომეწონა ახალგაცნობილი თანაკურსელის გულღიაობა.

ისრაფილი და მე ერთ ათეულში მოვხვდით. საძინებელ კორპუსში ჩვენი საწოლები ერთად იდგა.

საავიაციო სასწავლებელში ჩვეული ენერგიითა და გულმოდგინებით ვეუფლებოდით რთულ ტექნიკას.

დამთავრდა სწავლის დაუვიწყარი წლები. მეგობრები გამოშვების საღამოზე შეხვდნენ ერთმანეთს, საუკუნო მეგობრობას ეფიცებოდნენ და ქაღალდის ფურცლებზე ნაჩქარევი ხელით უწერდნენ მისამართებს.

ისრაფილმა საავიაციო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და როგორც ფრიადოსანი, ინსტურქტორად დატოვეს სასწავლებელში.

– შენ შეისწავლე ფრენა, ახლა ასწავლე სხვებს, – უთხრეს მას. ერთი წლის განმავლობაში ოცამდე ახალგაზრდას შეასწავლა ფრენა. თავისი მოთმინებით, კეთილგანწყობით, ადვილად პოულობდა უმოკლეს გზას კურსანტის გულისკენ. კურსანტები ისრაფილთან თავს უფრო მხნედ გრძნობდნენ და გაბედულად, საფუძვლიანად ეუფლებოდნენ საჰაერო პილოტაჟის რთულ ხლოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ არმიაში სამსახურმა საბოლოოდ გამოაწრთო ისრაფილის ნებისყოფა. მას უკვე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება დაუგროვდა. ისწავლა დროის ფასი, შეითვისა მხედრული ჩვევები.

ომი რომ დაიწყო, ისრაფილი სამხედრო ქარხანაში იყო, თვთიფმრინავების გამოცდა ჯერ ისევ გრძელდებოდა, ფრონტზე წასვლა ითხოვა, მაგრამ არ გაუშვეს.

ისრაფილი ბევრს ეცადა მოქმედ არმიაში წასვლას, მაგრამ ამაოდ. "არის ომისათვის დამახსიათებელი ერთი სიტყვა "ჯავშანი" – წერდა ის დედას, – ვმუშაობ ქარხანაში მფრინავ-გამომცდელად, ვასრულებ კონსტრუქტორის ყველა დავალებას."

– ომში ყველა საქმე საჭიროა, – იმშვიდებდა თავს. საცდელი გაფრენები რა ბედენაა, როცა ტოლები ფაშისტებს მუსრავენ. ცეცხლზე წყალი გადაუსხა თავისვე ორეულმა: ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, მაგრამ ისეთი სიცოცხლე, რომელიც გრძელდება სიკვდილის შემდეგაც და სამარადისოდ რჩება ხალხის გულში.

ერთ საღამოს, როცა კონსტრუქტორებთან დაამთავრა საბრძოლო გაფრენის გარჩევა და მეორე დღისათვის დავალება მიიღო, სახლისაკენ გაემართა, ისრაფილის ყურადღება მიიპყრო კედელზე გაკრულმა სურათმა. გარკვევით დაინახა ქალი, რომლის სახეზე დიდი შინაგანი ძალა და ნებისყოფა აღებჭდილოყო.

"დედასამშობლო გვეძახის!" – წაიკითხა პლაკატზე, ქალის სახე გასაოცრად მიამსგავსა დედის სახეს. დიახ, ეს დედასამშობლო მოუწოდებდა თავის შვილებს – ყოფილიყვნენ სამხედრო ფიცის ერთგულნი და ღირსეულად დაეცვათ სოციალისტური სამშობლო. "ირაკლი თოიძე" - წაიკითხა ავტორის გვარი და დიდად გაუხრდა, რომ მისმა თანამემამელემ ასე ზუსტად გამოხატა მილიონების გულისთქმა.

ფიქრებიდან გამოერკვა, პლაკატთან თავი მოეყარა ათამდე სპეციალისტს.

"დედსაამშობლო გვეძახის" – წარმოთქვა ისრაფილმა წყნარად და წავიდა.

– მტკიცედ გადავწყვიტე წავიდე წინა ხაზზე, სადაც ჩემი ტოლები ებრძვიან ფაშისტ ურჩხულებს, – უთხრა ისრაფილმა კონსტრუქტორს მეორე დღეს, ბოლო საცდელი გაფრენის შემდეგ. ის იმავე დღეს გაემართა სამხედრო კომისარიატისკენ.

კომისარმა განცხადება წაიკითხა და გულდასმით შეათვალიერა ჭაბუკი. ისრაფლმა თავისი დიდრონი, არწვისებური თვალები ჯიქურად შეაგება მის გამომცდელ მზერას.

"ახლა, როცა გადამწყვეტი ბრძოლაა საბჭოთა შევარდნებსა და ფაშისტ დამპყრობლებს შორის, ჰაერში ბატონობისათვის ჩვენს ავიაციას სწორედ ასეთი შევარდნები სჭირდება" – გაიფიქრა კომისარმა და უსიტყვოდ დააკმაყოფილა ისრაფილის თხოვნა. ეს იყო 1943 წლის იანვრის სუსხიანი დღეები. სტალინგრადთან ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებით ამოისუნთქა ისრაფილმა, როცა კომისრის კაბინეტიდან გამოვიდა. მხიარული თვალებით გადახედა მისაღებში შეკრებილ ჭაბუკებს. მათაც მტრის პირისპირ შებმისაკენ მიუწევდათ გული. "გისურვებთ წარმატებას და გამარჯვებას, ბიჭებო," – ყველას მისამართით თქვა ისრაფილმა და მოსაცდელიდან გავიდა.

მთელი თავისი ჯარისკაცური ავლადიდება ზურგჩანთაში მოათავსა და გამგზავრების წინ ავიაკონსტურქტორთან მივიდა დასამშვიდობებლად.

– ვერც კი წარმოიდგენ, როგორი დიდი საქმე გააკეთე გამომცდელად მუშაობისას – უთხრა ავიაკონსტრუქტორმა – შენმა საცდელმა გაფრენებმა, რომლებიც სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებულიმ ჩვენ საშუალება მოგვცა მაქსიმალურად გაგვეუმჯობესებინა "ილ" ტიპის თვითმფრინავების საბრძოლო ტექნიკური და აეროდინამიკური მონაცემები, გარკვეული თვალსაზრისით შენ ჩვენი თანაავტორი ხარ და ჩათვალე, რომ ერთ გმირობას უდრის შენი აქ, ჩვენთან ერთად გაწეული მუშაობა.

კონსტრუქტორმა ისრაფილს საბრძოლო გზა დაულოცა.

საბჭოთა კავშირის გმირის, ი. ჯინჭარაძის თანაპოლკელი მეგობრის ალექსი როგოჟინის მოგონებებიდან

1943 წლის 15 აპრილი, ხუთშაბათი დღე. ეს დღე ყველაზე უფრო სამახსოვრო იყო ჩემთვის და ჟანისთვის. (ასე შემოკლებით ეძახდნენ ი. ჯინჭარაძეს).

პოლკმა დავალება მიიღო, დაემბომბა მტრის აეროდრომი სმოლენსკის ჩრდილოეთით. ამჯერად მრისხანე იარაღით აღჭურვილი 18 თვითმფრინავი თავს დაესხა ფაშისტთა აეროდრომს. იმ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჟანი. მეორე პიკირებიდან გამოსვლის დროს მისი ზუსტი დარტყმებით გახარებულმა კაპიტანმა კოზლოვმა, რომელიც სულ საჰაერო ბრძოლებში იმყოფებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღტაცება ვეღარ დაფარა და ლინგოფონებში მოგვესალმა: - **ყოჩაღ შევარდენო, ასახელე საქართველო!** მე თითქოს დავინახე, როგორ გაებადრა ისრაფილს მოქუფრული სახე და გაეხსნა რკალად შეკრული წარბები, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამიერი გაღიმება. კოზლოვი იწყებდა მესამე პიკირებას. გამძაფრებით აღრიალდნენ საგულდაგულოდ შენიღბული მტრის საზენიტო ქვემეხები და ჯვარედინ ცეცხლში მოგვაქციეს. კოზლოვი წამითაც ვერ შეაკრთო მტრის გაცოფებულმა შემოტევამ, გრიალით ეშვებოდა მიზნისაკენ. სწორედ ამ დროს პირდაპირი მოხვედრით კოზლოვის თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია.

„ბიჭებო, იცოცხლეთ ჩემს მაგიერადაც! სიკვდილი ფაშისტებს!“ - გარკვევით მოგვესმა ლინგოფონებში და დავინახეთ, როგორ გააქანა ალმოდებული თვითმფრინავი პოლკის მეთაურმა საზენიტო ქვემეხების პოზიციისაკენ. მტრის საზენიტო წერტის ექვსივე ზარბაზანი თავისი გათვლებიანად ნაფლეთებად იქცა. გაოგნებამ მალე გაიარა. მე ავიღე ჩემს თავზე მეთაურობა, გაშმაგებული ვეკვეთეთ მტერს. მოგვიხდა მტრის ავიაგამანადგურებლებთან შებრძოლება. ამ ბრძოლაში ჩვენი 6 მფრინავი დაიღუპა.

დავბრუნდით აეროდრომზე. ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით, პირქუშად მივდიოდით პოლკის კომისართან, რომელიც მღელვარებისაგან სრულიად გაფითრებული გაფრენის პატაკებს ღებულობდა. ყველას თვალწინ გვედგა ჩვენი საყვარელი მამაცი მეთაურისა და სხვა მებრძოლი მეგობრების სახეები...

1943 წლის 15 ოქტომბერი. პარასკევი. ეს დღე მთელი ომის პერიოდში ჩვენთვის ყველაზე მძიმე, ნაღვლიანი და უბედური იყო. მეხსიერებამ შემოინახა ამ დღის ყველა დეტალი, საბრძოლო განგაშით გაგვაღვიძეს დილის 5 საათზე, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო. სანამ თვითმფრინავებს გასაფრენად მოამზადებდნენ, აღმოსავლეთით ინათა, ღამით ოდნავ წამოწვიმა და ახლა მიწას ორთქლი ასდიოდა. შავ ნისლს ქარი დასავლეთისაკენ მიერეკებოდა. მატიკოვს საბრძოლო დავალების მიცემისათვის დიდი დრო არ დასჭირვებია. ყველამ ვიცოდით საბრძოლო მოქმედების რაიონი და ჩვენი ამოცანა, თითქოს 14 ოქტომბერი გაგრძელდაო. ასე გავაგრძელეთ გუშინ დაწყებული საქმე. ეს მართლაც ჯოჯოხეთური დღე იყო. აფეთქებების გამო ბრძოლის ველი თანდათან სქელი, შავი კვამლით იფარებოდა. ამ ორომტრიალში როგორც გაავებული ავაზა, ისე მივდევდით ფაშისტებს და ისინიც გაავებული გვიღრენდნენ. ჰაერში იყო ჩვენი ავიაგამანადგურებლებიც. აი, დავიმარტოხელეთ მტრის 4 ტანკი მე და ისრაფილმა და დავეშვით პიკირებით. ბოროტად არახრახდა მტრის საზენიტო ტყვიამფრქვევი, მაგრამ ჩვენთვის სხვა არაფერი არსებობდა, გარდა მტრის “ფერდინანდებისა” და “ავაზებისა”. რომლებიც ის-ის იყო ბრძოლებში ჩაებმებოდნენ და ვინ იცის, რამდენ საბჭოთა ჯარისკაცს მოუსწრაფავდნენ სიცოცხლეს ჩემს შემდეგ. ნადავლს ისრაფილი დააცხრა და რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების პირდაპირი მოხვედრით ააფეთქა მტრის ტანკი. მერე კარგად შენიღბული მტრის საარტილერიო დივიზიონი შენიშნა და უმალ მისკენ გააქანა თავისი მფინავი ტანკი, პირდაპირი მოხვედრით ააფეთქა მტრის საცეცხლე პოზიცია და კვლავ ცაში აიჭრა. რომ იქიდან მიზანში ახალი მსხვერპლი ამოეღო. ბრძოლებში გაილია დღის პირველი ნახევარი. მზე საშუადღეოზე იდგა

თითქოს მასაც ვეღარ გაეძლო ამდენი ხოცვა-ჟლეტისთვის ეცქირა და შავი ღრუბელი აეფარებინა სახეზე.

ეს უკვე მეორედ ავფრინდით იმ დღეს. კვლავ გაავებული იერიში მტრის ტანკზე და კვლავ გამაყრუებელი აფეთქება. ის იყო პიკირებიდან გამოდიოდა რომ პირდაპირი მოხვედრით ისრაფილის თვითმფრინავს ცეცხლი მოედო. ჩვენ მკაფიოდ გავიგონეთ მისი მშვიდი ხმა: **"იცოცხლეთ ჩემს მაგივრადაც, სამშობლოსათვის, სტალინისათვის"**, ისრაფილმა ალმოდებული თვითმფრინავი იმ საცეცხლე პოზიციებისკენ გააქანა, რომელსაც ჯერ კიედვ შემნიღბავი ტოტები ფარავდა და რომელმაც მუხანათურად იმსხვერპლა ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა, რომელიც ახლაც ყურებში მიდგას. მტრის საცეცხლე პოზიციაზე დიდ შავ ორმოს დაეღო ხახა.

ასე გმირულად დაიღუპა ჩემი საყვარელი მეგობარი, ჩვენი პოლკის შესანიშნავი შევარდენი, ისრაფილ ჯინჭარაძე.

ბევრი სიკვდილი მინახავს, ბევრი გმირული ბრძოლის მონაწილე ვარ. მაგრამ ასეთი გულისტკივილი არასდროს განმიცდია, ეს ალბათ იმიტომ, რომ პოლკში ერთად ბრძოლისა და ერთ ქოხში ცხოვრების დროს ძმებვით შევეზარდეთ ერთმანეთს და ასევე ძმურად ვიყოფდით ჭირ-ვარამს.

იმ დღეს დიდხანს არ შევსულვარ სახლში, ან როგორ უნდა დამენახა ისრაფილის საწოლი, მისი ნივთები, მისი საველე ჩანთა.

გვიან ღამით წამოვწექი ლოგინზე. დიდხანს ვღეჭავდი საბნის კიდეს და ვბორგავდი. გამთენიისას ჩამეძინა.

ჩვენი პოლკის ბევრმა მფრინავმა დიდი სამამულო ომის დროს ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის საბრძოლო ორდენები და მედლები მიიღო. ხოლო 12 მათგანს მიენიჭა წარჩინების უმაღლესი ხარისხი, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ცოტა მოგვიანებით **კატიას** დაღუპვის ამბავიც მოვიდა ჩვენამდე. კიეველი გოგონა, რომელიც ისრაფილის გულის მესაიდუმლე იყო, უკრაინაში, მშობლიურ ადგილებთან ახლოს იმსხვერპლა ნაღმის ნამსხვრევმა. კიდევ კარგი, რომ არც ისრაფილმა და არც კატიამ არ იცოდნენ ერთმანეთის სიკვდილი.

ბერლინში მესიზმრა, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ისრაფილი შემომცქეროდა და კვლავ ჩვენს საყვარელ "სულიკოს" და "ციცინათელას" მღეროდა. გვერდით მოყვებოდა საქორწილოდ მორთული კატია, რომელსაც თავზე ისრაფილის ხელით დაწნული ყვავილების გვირგვინი ამშვენებდა. ხმამაღლა შევყვირე და ლოგინიდან წამოვვარდი. ვაი, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

,,ლეგენდად ქცეული სიცოცხლე

,,სად ხარ შვილო, დედისერთავ,
დარდის ცეცხლი მიკიდია,
ზღვაზე არ ხარ, არც ხმელეთზე,
არც ცას ხელი გიკიდია,...

ჩურჩულით იმეორებდა თვალზე ცრემლმომდგარი გმირის დედა და სიყვარულით შეჰყურებდა ქალაქ ბათუმის №2 სკოლა-ინეტრნატის გაჩირაღდნებულ დარბაზში შეკრებილ პიონერებს, სტუმრად მოწვეულ ომგადახდილ ვაჟკაცებს, მასწავლებლებს.

,,არ დაიდარდო დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე,...

გაისმა დარბაზში ბავშვების წკრიალა ხმები. ცრემლები წასკდა ფატის და შვილის გადიდებული სურათისკენ გააპარა მზერა, მისი ბავშვობა დაუდგა თვალწინ, თითქოს შვილის სიტყვებიც ჩაესმა ყურში.

– მერე დედიკო, მერე!

– დაამარცხა შვილო, ამირანმა ყველა დევი და ავი სული, მერე ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი და ხალხს მიუტანა.

,,რა გრიგალები გააპე,
რა ბრძოლები გაქვს ნახული,
ქარის გრიალში ისმოდა
მშობელი დედის ძახილი,...

ალისფერ ყელსახვევიანი პიონერთა ჯგუფი ყვავილების თაიგულითა და სიმღერით ნელა უახლოვდებოდა ფიქრში წასულ დედას. უცებ ბურანიდან გამოერკვა, ცრემლების დამალვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

– თქვენ გენაცვალეთ, ჩემო შვილებო, გაიზარდეთ, გაიხარეთ, იცოცხლეთ.

ეს ამბავი 1965 წლის მაისში, გამარჯვების 20 წლისთავზე მოხდა. არც მანამდე მოჰკლებია გმირის დედას ყურადღება და დაფასება. უამრავ წერილს ღებულობდა ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან. ფატისთვის ყველაზე ძვირფასი იყო ის ბარათი, რომელსაც მ. ი. კალინინი აწედა ხელს: **,,გიგზავნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელს თქვენი ვაჟისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. რათა შეინახოთ იგი, როგორც მოგონება თქვენი გმირი შვილისა, რომლის ღვაწლს არასოდეს დაივიწყებს ჩვენი ხალხი.“**

გმირის პირველი სკულპტურული პორტრეტი შექმნა მოქანდაკემ **მ. ბოლქვაძემ.**

– ნეტავი შენი საფლავი მაინც მცოდნოდა, შვილო, ჩემი გულის სითბოთი გავათბობდი შენს გულზე დაყრილ ცივ მიწას. – აღმოხდა მაშინ

ფატის და მუდარანარევი მზერა დარბაზს შემოატარა, თითქოს პიონერებისგან ელისო ნუგეშს.

დარბაზი გაირინდა, ან რა უნდა ეთქვა სვემწარე დედისათვის სანუგეშებლად, როცა არავინ უწყოდა გმირის დაღუპვის ზუსტი ადგილი, არ იყო დადგენილი მისი უკანასკნელი საბრძოლო გაფრენის კოორდინატები.

აღუსრულებელი დარჩა დედის უკანასკნელი სურვილი, ენახა შვილის მარადი განსასვენებელი, მოალერსებოდა, თავისი გულის სითბოთი გაეთბო შვილის გულზე დაყრილი მიწა...

მოგვიანებით კი ყოველივე გაირკვა. **ლ. ქაჯაიას** ხელმძღვანელობით 1976 წლის ზაფხულში გმირის საბრძოლო გზის კვალდაკვალ სპეციალური დელეგაცია გაემგზავრა. მათში შედიოდნენ გმირის ბიძა **მამუდ ჯინჭარაძე, მწერალი ჯემალ ჯაყელი, ჟურნალისტები ანზორ ზამბახიძე, ვალერი მითაიშვილი, კინოკორესპონდენტი ა. თალაკვაძე,** მახინჯაურის ი. ჯინჭარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა წარმომადგენლები, მოსწავლეთა ჯგუფი, მაშინ ვერ მოხერხდა გმირის საფლავის პოვნა. ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდა 1979 წლის აგვისტო-სექტემბერში. მასში დიდი წვლილი მიუძღვის ჟურნალისტ **ნიკოლოზ მიხეილის ძე კავაზისს.** იგი 1978 წელს დასასვენებლად იმყოფებოდა **დენპროპეტროვსკის ოლქში,** საოლქო გაზეთ "დნეპროპეტროვსკაია პრავდას" ფურცლებზე მან ყურადღება მიაქცია წერილს "აღმოსავლეთის გალავანი". აქ მოთხრობილი იყო ერთი ეპიზოდი ი. ჯინჭარაძის საბრძოლო გაფრენის შესახებ. წერილს ხელს აწერდა ი. ჯინჭარაძის თანაკურსელი ბალაშოვის ავიასასწავლებლიდან, **საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ კუზმას ძე ტოკარენკო.**

გაზეთ "დნეპროპეტროვსკაია პრავდას" დახმარებით გავიგეთ ტოკარენკოს მისამართი. გაიმართა გულთბილი მიმოწერა ჩვენსა და მ. ტოკარნეკოს შორის. საკითხის დაზუსტებაში დაგვეხმარა ჟურნალისტი ნ. ქათამაძე.

1979 წელს, აგვისტოს ბოლო რიცხვებში გავემგზავრეთ დნეპროპეტროვსკში. იქ, ბოროდაევის სასოფლო საბჭოს სოფელ პრავობერეჟნოეში № 25 ძმათა სასაფლაოზე საუკუნო ძილით განისვენებს ი. ჯინჭარაძე.

ქალაქის სამხედრო კოსიმარიატში გულთბილად მიგვიღეს. საარქივო მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა აქ 1943 წლის ოქტომბერში. მარტო ამ პლაცდარმზე 14 939 მებრძოლი დაიღუპა. მათ შორის 30 საბჭოთა კავშირის გმირია. სულ რაიონის ტერიტორიაზე 33 საძმო საფლავია, ყველა მათგანს სათუთად უვლიან. სასაფლაოზე, სადაც განისვენებს ი. ჯინჭარაძე, დაკრძალულია 425 მებრძოლი, მათ შორის, 46 ოფიცერი, 8 საბჭოთა კავშირის გმირი. აქ გამოჩენილი სიმამაცისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს ტანკისტ ვლადიმერ მიხეილის ძე ჩხაიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაფლაოზე ცაცხვებისა და აკაცების ფოთლები ჩურჩულით ნანას უმღერიან სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს. მორცხვად დაუხრიათ თავი ნამშეუმშრალ ყვავილებს, რომლებსაც აქაური პიონერების მზრუნველი ხელი ატყვიათ.

ძმათა სასაფლაოს სამგლოვიარო სიჩუმეში მკაფიოდ ჩაგვესმის მ. გორკის სიტყვები: "ო, გაბედულო შევარდენო, მტერთან ბრძოლაში სისხლისგან შენ დაიცალე, მაგრამ მოვა დრო და შენი სისხლის ცხელი წვეთები ნაპერწკლებივით აინთებიან და გულს მრავალთა შენებრ მამაცთა თავისუფლების და სინათლის უშრეტ წყურვილით კვლავ აღაგზნებენ."

მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქალაქ ვერხნეპეტროვსკის №2 სკოლასა და მახინჯაურის ი. ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს შორის. ხშირი იყო დელეგაციების გაცვლა. მეგობრობა იმდენად განმტკიცდა რომ ქალაქ ვერხნეპეტროვსკის საშუალო სკოლის პიონერულ რაზმეულს უწოდეს ი. ჯინჭარაძის სახელი, 1983 წელს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თხოვნით, საჩუქრად მივუტანეთ გმირის ბიუსტი, რომელიც სკოლის საბრძოლო დიდების გალერეაში მოათავსეს.

ი. ჯინჭარაძის დაღუპვიდან 40 წლის შემდეგ ქვაში გავაცოცხლეთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე იმ მიწაზე, სადაც იგი იბრძოდა. მიმდინარე წლის იანვარში კინოსტუდია "ქართული ფილმის" დოკუმენტური და სამეცნიერო ფილმების განყოფილების რეჟისორი **ენრიკო გერმესაშვილი** და ჩვენ, გადამღებ ჯგუფთან ერთად, გავემგზავრეთ ქალაქ ვერხნეპეტროვსკში ჩვენი სკოლიდან დელეგაციაში მოსწავლეებს გარდა შედიოდნენ სკოლის ორგანიზატორი ი. ძნელაძე, აგერთვე ი. ჯინჭარაძის ბიძა შუქრი ჯინჭარაძე.

დედის საფლავიდან აღებული მიწა მოვაბნიეთ გმირი შვილის საფლავს. ეს მიწა დედის გულის მაგივრად ათბობს შვილს. ამ მიწაზე უკრაინელი პიონერების და კომკავშირლების მზრუნველი ხელით შრიალებენ ნაირფერი ყვავილები და ჩურჩულით ნანას უმღერიან სამშობლოსთვის დაფერფლილ ვაჟკაცთა სიცოცხლეს.

შემდეგ ქალაქ ტულას ვეწვიეთ. აქ ცხოვრობს ი. ჯინჭარაძის უახლოესი მეგობარი, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი პოლკოვნიკი ალექსი როგოჟინი. მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი მოგვითხრო თანაპოლკელ მეგობარზე. კინოგადამღებმა ჯუგფმა იგი ფირზე გადაიღო.

შესრულდა დედის უკანასკნელი სურვილი. თვითონ კი ვეღარ მოესწრო ამ დღეს.

ისევ შრიალებს ისრაფილის მშობლიური სახლის წინ "მრავალ დროების მოწმე" მაგნოლია. აქ 1944 წლის თებერვალში შეიკრიბნენ ხელმძღვანელობა, რაიონის მოწინავე ადამიანები, მოსწავლეები, ისრაფლის მეზობლები და მეგობრები. მიტინგი მიეძღვნა ი. ჯინჭარაძისთვის საბჭოთა კავშირის გმირის

წოდების მინიჭებას. იგი ისმაილ ფუტკარაძემ გახსნა, რომელმაც გმირის დედას ასეთი სიტყვებთ მიმართა:

– შვილი, რომლებიც შენ აღუზარდე სამშობლოს, მთელ საქართველოს, მთელს ჩვენს ქვეყანას გვეამაყება. ბედნიერია დედა, ვისაც შეუძლია ასეთი ვაჟკაცი მისცეს მამულს, ბარაქალა შენს ქართველქალობას.

შავი მანდილი მოეხურა ფატის და მზერა გზისკენ მიეპყრო. თითქოს შვილის გამოჩენას მოელისო. მზე დაისისკენ დახრილიყო. ღამდებოდა. დედის სულშიც მარადიული, ცრემლიანი წყვდიადი წვებოდა...

როცა ისრაფილის მშობლიური სახლის წინ მოშრიალე მაგნოლიას და იქვე, ფერდობზე აჟუჟუნებულ იებს გაცქერი, უცნაურად გახსენდება ხალხური გამოთქმა: "დედის ცრემლებზე იები ხარობენო!"

რამდენი ცრემლი დაუღვრია დედას!

ბევრი, ძალიან ბევრი ცრემლი დაღვარა დიდ სამამულო ომში ოცი მილიონი შვილის დამკარგავმა დედა-სამშობლომ."

საქართველოს გმირი მებრძოლების არდავიწყება ჩვენი ვალია, ვინაიდან როგორც ვხედავთ, გმირების ღვაწლის დაფასება დღითი-დღე კლებულობს და შესაძლებელია მალე დავიწყებასაც მიეცეს.

ძვირფას საზოგადოებას მოგიწოდებთ, 15 ოქტომბერს (ი. ჯინჭარაძის დაღუპვის დღეს), 15 საათზე შევიკრიბოთ 26 მაისის პარკში (ყოფილი პიონერთა პარკი) გმირის ბიუსტთან და მის ნათელ ხსოვნას წუთიერი დუმილით მივაგოთ პატივი. მსგავსი პატივგება ტრადიციად ვაქციოთ!

გ ე ლ ო დ ე ბ ი თ !

ისრაფილ ჯინჭარაძემ კაცობრიობის ყველაზე მძვინვარე მტრის, ფაშიზმის დამარცხებას შესწირა თავი, რომელსაც მთელი ცივილიზებული სამყარო ებრძოდა.

60 წელი მახინჯაურის საშუალო სკოლა ატარებდა გმირი მფრინავის - ისრაფილ ჯინჭარაძის სახელს, სადაც ის სწავლობდა. 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის (მ. სააკაშვილი) განკარგულებით ი. ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლამ შეწყვიტა არსებობა და მას საჯარო სკოლა ეწოდა ი. ჯინჭარაძის სახელობის გარეშე.

დღემდე არავის არ უზრუნია დაუბრუნდეს მახინჯაურის საჯარო სკოლას **„გმირი ისრაფილ ჯინჭარაძე"**-ს უკვდავი სახელი.

სკოლის შენობაში კი გამოიყოს ოთახი ი. ჯინჭარაძის მუზეუმის აღსადგენად. ასევე მიზანშეწონილად მივიჩნევ განმეორებით გამოიცეს **სერგო ჯაყელის წიგნი „სამშობლოს ზეცა ჩემი სახლია"**, დარიგდეს სკოლების ბიბლიოთეკებში და სავალდებულოდ გახადონ მისი კლასგარეშედ წაკითხვა.

მერწმუნეთ, ამნაირი მიდგომით ახალგაზრდობის უმეტეს კონტიგენტში გაიღვიძებს ჩაძინებული ეროვნული პატრიოტიზმი.

ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ:

,,...მხოლოდ დიდბუნებიან კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება, და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე.

ილია“

სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე

რა გრიგალები გააპე,
რა ბრძოლები გაქვს ნახული,
ომის ქარ-ცეცხლში გესმოდა
მშობელი დედის ძახილი:

ოცნებით ცაში გავცქერი,
შენს სახეს ვეძებ ღამითაც,
შენს გასაოცარ გმირობას
არ დავივიწყებ წამითაც.

გიგონებს მახინჯაური -
შენი გამზრდელი მთა-ბარი,
დედა ნატრული ცრემლებით
შენს ნაწერ ბარათს დაჰხარის
და მიხარია, რომ შენ ხარ
პირველი გმირი აჭარის!

ფრიდონ ხალვაში
1944 წ.

საზოგადოებრივი მოძრაობა ,,2011 წლის 26 მაისი - ,,მამული, ენა, სარწმუნოება“-ს თავმჯდომარე: თენგიზ ცეცხლაშვილი, დიდ მადლობას ვუხდი ყველას ვინც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ბროშურის გამოცემისთვის.

11 სექტემბერი 2019 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა